შინამეურნეობების შემოსავლები და ოჯახების ცხოვრების დონე

თამარ ბერიძე -
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ბახტურიძე -
სტუ-ს დოქტორანტი

შინამეურნეობის შემოსავლები და ოჯახების ცხოვრების დონე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. იგი სხვადასხვა კუთხით განიხილება ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგში. კერძოდ, შეისწავლება მისი არსი, ფორმები, უთანაბრობა, ცხოვრების დონის, ადამიანთა კეთილდღეობის კავშირი მათ სიდიდესთან, ზრდასთან.ამასთან დაკავშირებით განხილვის საგანია აგრეთვე ეკონომიკის სტაბილურობის, ერთობლივი მოთხოვნის, საერთო ეკონომიკური წონასწორობის, დასაქმების, ეკონომიკური სტიმულირების, ეროვნულ თავისებურებათა, ბუნებრივი პირობების, ასევე აღრიცხვისა და ანალიზის საკითხები და სხვ.

შინამეურნეობათა შემოსავლები,მრავალწახნაგოვანი და ასევე ერთ-ერთი რთული პრობლემაა შეწავლისა და ანალიზის, ასევე სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით. მასთანაა დაკავშირებული ეკონომიკური სუბიექტების - მომხმარებელთა და მეწარმეთა ინტერესები. ამ საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობს როგორც საბაზრო სუბიექტები, ისე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. ამ უკანასკნელთა მარეგულირებელი ზეგავლენა შემოსავლების განაწილებაზე მრავალი კუთხით აისახება მოსახლეობის ცალკეული ფენების შემოსავლების დონეზე. კერძოდ, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შემოსავლის

პირველადიდიფერენციაცია, რისთვისაც გამოიყენება ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისეთი ბერკეტები, როგორიცაა გადასახადები, სოციალური პროგრამები და სხვ. საბოლოოდ კი, ეს თავს იჩენს ცხოვრების დონის მახასიათებლებზე.

შინამეურნეობათა შემოსავლები მრავალფაქტორული ფენომენია. მათი მოცულობა და დინამიკა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების საერთო დონეზე, ტემპებზე, სახელმწიფო რეგლირების მექანიზმზე, ასევე გარე ფაქტორებზე,თუნდაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე, ეროვნულ თავისებურებებზე და სხვ. ამიტომ მათი შესწავლა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. მიუხედავად საკითხის დიდი აქტუალურობისა, მისი კვლევა აქამდე, სათანადო მასშტაბით და სიღრმით არ წარიმართება, საერთოდ, და საქართველოში, კერძოდ.სათანადო ყურადღების გარეშეა დატოვებული შინა მეურნეობათა შემოსავლების დიფერენცირებულობის (უთანაბრობის) მიზეზები და შედეგები, მათ დაძლევის ღონისძიებები; ხდება უთანაბრობის მაჩვენებელთა დადგენა, გარკვეული ანალიზი, მაგრამ პრობლემა არ შეისწავლება კომპლექსურად; ადგილი აქვსმათ ცალმხრივ, ტენდენციურ გაშუქებას, ძირეული მიზეზების მიჩქმალვას. ცალკეული საკითხები განიხილება ფრაგმენტულად; შემოსავლების განაწილებაში, უზარმაზარ თანაბრობაში არსებული მდგომარეობის შეფასებებს არ უკავშირებენ სამართლიანობის, ობიექტურობის კრიტერიუმებს და ა.შ.

ეკონომკურ მეცნიერებაში შემოსავლებისა დამათი განაწილების ცალკეული თეორიულისაკითხები დამუშავებულია ძირითადად კეთილდღეობის მეცნიერული პრობლემების ფარგლებში, ასევეწმინდა პრაქტიკული თავსაზრისით. ჩვენს სინამდვილეში, იგი უფრო მეტად შეისწავლება შრომის ეკონომიკასთან კავშირში. პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშველოვანი სამუშაოები ხორციელდება გაეროს, მსოფლიო ბანკის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

დღეისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა პოსტსოციალისტურ, საბაზრო ეკონომიკაზე ახლად გადასულ ქვეყნებში საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების ფორმირებისა და დონის, დინამიკის საკითხები, მათი სპეციფიკა. ეს ეხება საქართველოსაც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, ისევე როოგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, განხორციელებული და მიმდინარე გარდაქმნები შინამეურნეობათა შემოსავლების ფორმირების, დინამიკისა და გამოყენების სრულიად სპეციფიკურ პირობებთან და თავისებურებებთანაა დაკავშირებლი. აქ ხშირად ვაწყდებით ქაოსურ, კანონზომიერებიდან

გადახრილ მოვლენებს. ისინი ჯერ კიდევ ნაკლებადაა კვლევის საგანი, მათ შორის კრიტიკული კუთხით, რაც აუცილებელია არსებული პრობლემების გადაწყვეტისთვის. ისინი კი მრავლადაა.

ოჯახი სოციოკულტურული და ეკონომიკური ფენომენია. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების კვლავწარმოების საფუძველია. უწინარესად ესაა საზოგადოების წევრთა, თაობათა კვლავწარმოება, რაშიც იგულისხმება როგორც ბიოლოგიური, ისე კულტურული, სოციალური, ეკონომიკური ასპექტები. ოჯახი იღებს პასუხისმგებლობას მის წევრთა, რომლებიც ამავე დროს საზოგადოების წევრები არიან, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, ზნეობრივ აღზრდაზე, მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე, გარკვეულწილად ქცევებზე. ოჯახის ყველა ფუნქციის შესრულება ემყარება საოჯახო მეურნეობის არსებობას.

ოჯახის არსებობისათვის აუცილებელია სათანადო ეკონომკური საფუძველი. ეს გულისხმობს დოვლათის წარმოებას, განაწილებაში, გაცვლაში მონაწილეობას, მოხმარებას. ყოველივე ესუკავშირდება სათანადო მეურნეობის არსებობას, მის ორგანიზებას, შემოსავლების მიღებას, გამოყენებას, ეკონომიკურ ურთიერთობებს გარე სამყაროსთან.

საოჯახო მეურნეობა კაცობრიობის ისტორიის თანამგზავრია. ისტორიულად საოჯახო მეურნეობა წარმოიშვა როგორც ნატურალური მეურნეობა. მხოლოდ განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაჩნდა სასაქონლო მეურნეობა, გაცვლა, რაშიც ჩაბმული იყო საოჯახო მეურნეობის გარკვეული ნაწილი. ეს ნაწილი გაფართოვდა კაპიტალიზმის ეპოქიდან, საერთოდ, შრომის დანაწილების ინტენსიურობის გაზრდის საფუძველზე. ნატურალური მეურნეობა ყოველთვის იყო და დღესაც რჩება საოჯახო მეურნეობის მნიშვნელოვან ნაწილად. ამასთან, მას მეტ-ნაკლები ადგილი უჭირავს იმის მიხედვით, თუ რამდენად განვითარებულია ქვეყანა, საზოგადოება მოცემულ ქვეყანაში. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე ოჯახები ჩაება არა მარტო მარტივ გაცვლაში, არამედ ბიზნესში. საოჯახო ბიზნესის წარმოშობა გარკვეული ახალი ეტაპი იყო საოჯახო მეურნეობის განვითარებაში. საოჯახო ბიზნესი -ესაა ბიზნესის სპეციფიკური ფორმა. ის თავისი მასშტაბით მცირეა, მაგრამ მასობრივია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში. განსაკუთრებით ეს ვლინდება მოსახლეობის დასაქმებაში, საქონლისა და მომსახურების რიგ, მასობრივ სახეობათა მიწოდებაში.

საოჯახო მეურნეობის როლი ეკონომიკაში განსაკუთრებით იჩენს თავს ორი კუთხით: ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს წარმოების ძირითადი ფაქტორების -სამუშაო ძალის, კაპიტალის, მიწის, მეწარმეობრივი უნარის მიმწოდებელს. მეორე მხრივ, ის არის მთელი

წარმოებული დოვლათის უდიდესი ნაწილის მომხმარებელი, მყიდველი ბაზარზე. საბოლოო ანგარიშით ეკონომიკა დგას საოჯახო მეურნეობებზე - მათ მიერ მიწოდებულ რესურსებზე და მათი მხრივ წარმოებული პროდუქციის მოთხოვნასა და მათ მოხმარებაზე.

შემოსავლებად განიხილავენ ფულადი სახსრების, მატერიალური დოვლათისა და მომსახურების გარკვეულ რაოდენობას, რომელიც მიღებულია კერძო პირის, კორპორაციის ან მთელი ეკონომიკის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში.[1] შემოსავლების ანალიზი საჭიროა მრავალმხრივი იყოს, მასში უნდა აისახოს ადამიანთა ცხოვრების კონკრეტული მხარე, კერძოდ, მოთხოვნილებათა ხასიათის მიხედვით დაკმაყოფილება, მისი ხარისხი. ადამიანთა სოციალური ჯგუფების, დასახლებული ადგილების, ქვეყნის ნაწილების მიხედვით და ა.შ. ამისათვის შემუშავებულია ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელი სისტემა.შემოსავლები ასევე აუცილებლია განვიხილოთ საზოგადოების წევრების მიხედვით დიფერენცირებულად. აქ შეიძლება გამოვყოთ სოციალური ჯგუფები, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, ეკონომიკის დარგები, ადამიანები პროფესიის მიხედვით, განათლების დონის მიხედვით და სხვ.

შემოსავლების დონის განსაზღვრისათვის განსაკუთრებით მნიშვმელოვანია მათი სულადობრივი სიდიდის და დინამიკის მაჩვენებელი. სწორედ ის იძლევა ზუსტ წარმოდგენას, თუ როგორია ცხოვრების დონე ქვეყანაში.

შემოსავლებისანალიზისთვის საყურადღებოა მისი განსაზღვრა წყაროების მიხედვით. პირველ რიგში შემოსავლების დაყოფა შრომით და არაშრომით შემოსავლებად. შრომითი შემოსავალი შეიძლება იყოს ნატურალური (მაგალითად, გლეხის, მიერ საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავებით მიღებული),ასევე ფულადი დაქირავებული შრომით მიღებული, თვითდასაქმებით,საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვით მიღებული და სხვ. არაშრომითად განიხილავენ ისეთ კანონიერ შემოსავლებს, როგორიცაა მემკვიდრეობით მიღებული შემოსავალი, შემწეობები, საჩუქრები და ა.შ. არაშრომითიდან განსაკუთრებით გამოიყოფა არაკანონიერი (ფარული) შემოსავლები, როგორიცაა; კორუფციული, ქურდობიდან, ნაძარცვი და ა.შ. არაკანონიერი შეიძლება იყოს კრიმინალური შრომითი საქმიანობით მიღბული შემოსავლები.

შემოსავლების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია მათი წყაროების განხილვა წარმოების ფაქტორების მიხედვით, კერძოდ, შრო-

[1] Словарь экономической теории Макмиллана. Перевод с англ. М., 1997. С. 231.

მის, კაპიტალის, მიწის, მეწარმეობრივი უნარის მიხედვით, ასევე ეკონომიკის მხარდაჭერისა და ხელშეწყობისთვის სახელმწიფოს საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების განხილვა.

შრომა შემოსავლების უმთავრესი ფაქტორია. ეს გამოიხატება მისი როლით დოვლათის შექმნაში, წარმოების პროცესში. შრომა (სამუშაო ძალა) ყველაზე დინამიკური და განვითარებადი ფაქტორიცაა. მშრომელი ადამიანები ვითარდებიან თვით წარმოების პროცესში, ღრმავდება მათი ცოდნა, გროვდება გამოცდილება თვითრეალიზაციის გზით, რაც არ ახასიათებს მატერიალურ ფაქტორებს. შრომის განვითარება არის დოვლათის შექმნის პროცესის განვითარების ამოსავალი პუნქტი. შრომის ფაქტორი დაკავშირებულია განათლებასთან, გამოცდილებასთან, მეცნიერულ სიახლეებთან. ამასთან მათი დიდ ნაწილი მიღებულია წინა თაობებისაგან. შრომა შესაბამისად იღებს ყველაზე დიდ წილს შემოსავლებში და ის ასევე ყველაზე მეტია.

აღსანიშნავია სახელმწიფოს როლი შემოსავლების (დოვლათის) წარმოქმნაში და მონაწილეობა შემოსავლების განაწილებაში. სახელმწიფოს ფუნქციებში მკვეთრად გამოიყოფა ეკონომიკური როლი, რაცგამოიხატება წარმოების ხელშეწყობაში სათანადო გარემოს შექმნის გზით, ადამიანთა დასაკუთრების დაცვაში, ფინანსურ დახმარებაში. სახელმწიფო ასევე ერთვება საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, ორგანიზაციას უკეთებს მას, ზრუნავს განათლების, მეცნიერებს განვითარებისთვის, გარემოს დაცვისთვის და სხვ. შესაბამისად, სახელმწიფო სხვადასხვა არხით იღებს შემოსავლებს. პირველ რიგში ესაა საკუთარ საწარმოებში საქონლისა და მომსახურების წარმოებიდან მიღებული შემოსავლები. შემდეგ კი იგი მნიშვნელოვან შემოსავლებს იღებს გადასახადების სახით, რაც რიგ შემთხვევაში უტოლდება მ შ პ მესამედსა და მეტსაც.

საოჯახო შემოსავლებზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ისინი შეიძლება პირველ რიგში დავყოთ თვით მათთან დაკავშირებულ და გარე ფაქტორებად. განასხვავებენ ქვეყნის ოჯახების შემოსავლების მთლიან მოცულობას, ერთი საოჯახო მეურნეობის საშუალო შემოსავლებს და ოჯახის ერთი წევრის საშუალო შემოსავლებს. ზოგადად, შემოსავლების დონეზე მოქმედ ფაქტორად უწინარესად გვევლინება ეკონომიკური განვითარების დონე, რაშიც იგულისხმება ტექნოლოგიები, შრომის ხარისხი (მუშაკთა კვალიფიკაცია) წარმოების ორგანიზაცია. ისინი დამოკიდებულია აგრეთვე ისეთ პირობებზე,როგორიცაა: ეკონომიკური ურთიერთობები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, საგარეო

ურთიერთობები, ბუნებრივი პირობები, ადამიანთა მენტალიტეტი - შრომისმოყვარეობა, ტრადიციები, პასუხისმგებლობა ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ პირობებს, რომლებიც ფართო სპექტრით წარმოგვიდგება. ეს ფაქტორები კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა სახეებით და ინტენსიობით ვლინდება. ისინი აისახება კონკრეტულ მაჩვენებლებში. მაგალითად, ქვეყნის განვითარების საერთო დონე შეიძლება გამოვსახოთ გაეროს მიერ შემოთავაზეული განმაზოგადებელი მაჩვენებლით: ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექხი (აპგი), რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის გამოცემაში ,,მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ".[2]

ადამიანისეული ფაქტორი სხვა მრავალი კომპონენტისაგან შედგება და სათანადო მაჩვენებლებში აისახება, რომლებიც უკაშირდება მათ კვალიფიკაციას, განათლების დონეს და ხარისხს, ჯანმრთელობის დაცვას და სხვ.ადამიანის ფაქტორში მნიშვნელოვანია ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებები, ტრადიციები, ჩვევები, რომლებიც უკავშირდება ეკონომკურ საქმიანობას. როგორც ცნობილია, ამ მხრივ ხაზს უსვამენ ამერიკელების, იაპონელების, ჩინელების და სხვათა თავისებურებას.

ბუნებრივი ფაქტორის გავლენა გამოვლინდება წიაღისული, ჰიდრო-ენერგო რესურსების, ფლორისა და ფაუნის რესურსების როლით, მიწის სავარგულებით, მათი ნაყოფიერებით, კლიმატური პირობებით, ასევე ქვეყნების გეოპოლიტიკური ადგილით, მიმზიდველობით მსოფლიო ეკონომიკური ცენტრებისკენ. ეს ფაქტორები ხასიათდება ნატურალური და თვისებრივი მაჩვენებლებით. ისინი ცვალებადია - მათზე მოქმედებს წიაღისეულის გამოლევა ან ახალი მდიდარი საბადოების აღმოჩენა, მიწის ეროზია, კლიმატის ხელსაყრელობა და არახელსაყრელობა წლების მიხედვით, სტიქიური ბუნებრივი მოვლენების გავლენა და სხვ.

ეკონომიკურ ურთიერთობათა პროგრესული ხასიათი მნიშვნელოვნად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე და ამის მეშვეობით შემოსავლების დონეზე. ეს, კერძოდ, გამოიხატება ეკონომიკური თავისუფლებით, რასაც აფასებენ შესაბამისი ინდექხით, საქმიანობის მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემა, ეკონომიკური მექანიზმის გამართულობა ხელს შეუწყ-

[2] იგი გამოიცემა მსოფლოს სხვადასხვა ენებზე, მ.შ. ინგლისურად, რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და ა.შ. და შეიცავს მდიდარ ინფორმაციას მსოფლიოს ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების შესახებ.

ობს ეკონომიკურ განვითარებას და საბოლოოდ შემოსავლების ზრდას. ეკონომიკურ ურთიერთობათა საწინააღმდეგო ხასიათისას (კონსერვატიზმი, რეგრესულობა) ადგილი ექნება საპირისპირო მოვლენებსა და შედეგებს.

ეკონომიკის განვიარების დონე და მასშტაბები საოჯახო მეურნეობათა შემოსავლებისა და ცხოვრების დონის საფუძველს ქმნის, რაც ასევე დამოკიდებულია მათი განაწილების არსებულ მექანიზმზე. არსებობს გარკვეული გადახრა შემოსავლების საერთო დონესა და ზრდის ტემპსა, ასევე მოსახლეობის კეთილდღეობას შორის, რასაც იწვევს გაუმართავი განაწილებითი ურთიერთობები (მექანიზმი). ამის შედეგად წარმოქმნილი უთანასწორობა იწვევს შემოსავლებისა და სიმდიდრის გარკვეული ნაწილის უფუნქციობას, სასარგებლოდ გამოყენების გარეშე (ჯანსაღი აზრით) დარჩენას. ეს კი ამცირების კეთილდღეობის საერთო დონეს ადამიანთა დიდი ნაწილისათვის.[3]

ქვეყნებს შორის შემოსავლების მიხედვით განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ იგი ადამიანებს კარგად აქვთ შემჩნეული. მაგრამ მისი მიზეზები, დაძლევის გზები სათანადოდ არაა გარკვეული და დადგენილი.

მსოფლიოში შემოსავლებისა დადოვლათის მკვეთრი დეფიციტი შეიმჩნევა ქვეყნების უმრავლესობაში, ასევე თვით მდიდარ ქვეყნებშიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის. ქვეყნების დიდ ნაწილში სიღარიბე მძვინვარებს. იგი შეინიშნება საშუალოდ და მაღალ დონეზე განვითარებულ ქყვეყნებშიც. ამგვარი სიღარიბის ძირითადი მიზეზია ამ ქვეყნებში წარმოების განვითარების დაბალი დონე, შემოსავლების სიმცირე, ის აგრთვე გამოწვეულია შემოსავლების უსამართლო და მეტისმეტად უთანაბრო განაწილებით.

აქედან გამომდინარე, მსოფლიოს წიმაშე ორი გამოწვევაა - ჯერ ერთი, გაიზარდოს წარმოება, განსაკუთრებით ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში და მეორე, უფრო სამართლიანად იქნეს განაწილებული შემოსავლები, მეტი ყურადღება მიექცეს შემოსავლების გადანაწილებას არსებული უსამართლობის შემცირების მიზნით.

საქართველოს ეროვნული შემოსავალი ბოლო წლებში განუწყვეტლივ იზრდებოდა, გარდა 2009 კრიზისული წლისა. ამასთან, მისი აბსოლუტური სიდიდე და ოდენობა მოსახლეოინის ერთ სულზე გაანგარიშებით, კვლავ მცირეა - 2012 წლის წინასწარი მონაცემებით 5772,8 ლარი, რაც დოლარებში შადგენს 3496,0 (მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით კი 5005 დოლ). მისი

[3] იხ. გიორგი მალაშხია. ზომიერი ადამიანი. ეკომეოლოგიური ესე. თბ., 2013.

დინამიკა კი ასეთი იყო:

1763.5 აშშ დოლარი - 2006 წელს, 2314.6 აშშ დოლ - 2007 წელს, 2921.1 აშშ დოლ - 2008 წელს, 2455.2 აშშ დოლ - 2009 წელს, 2623.0 აშშ დოლ - 2010 წელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელი კი, შესაბამისად, 9.4% - 2006, 12.3% - 2007, 2.3% - 2008, -3.8% - 2009, 6.3% - 2010 იყო.

საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მშპ ერთ მცხოვრებზე იყო: რუსეთში 15259 დოლ, თურქეთში - 13358 დოლ, ირანში - 14764 დოლ. ა შ შ-ში- 48480, გერმანიაში - 35431, დიდ ბრიტანეთში 38 583, კანადაშ 33269 დოლ და ა.შ. ცხადია, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს მრავალი ქვეყანა, სადაც ეს მაჩვენებელი 1000 დოლარზე ნაკლებია, უმცირესი კი მსოფლიოში შეადგენს 480 დოლ.

საქართველოს საოჯახო მეურნეობათა შემოსავლები შვიდ წელიწადში ნომინალურად ორჯერ და მეტად გაიზარდა, რეალური ზრდაც, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, მაგრამმათი დონე, ერთ საოჯახო მეურნეობაზე და მის ერთ წევრზე გაანგარიშებით,ჯერკიდევ მეტისმეტად მცირე რჩება - 2012 წელს ერთ მეურნეობაზე თვეში 788,4 ლარი, ერთ მცხოვრებზე - 218, 4 ლარი მოდიოდა.

მოსახლეობის შემოსავლების საშუალო თვისსიდიდეს და მის ზრდას სათვალსაჩინოდ გვიჩვენებს გრაფიკი:



12 წლის მანძილზე ერთი საოჯახო მეურნეობის შემოსავლები ნომინალურად გაზრდილია 3.3-ჯერ. საგრძნობია მისი რეალური სიდიდის ზრდაც, მაგრამ მისი სიდიდე ვერ უზრუნველყოფს კეთილდღეობის საკმარის დონეს.

ერთ მცხოვრებზე შემოსავლების ცვლილება საშუალოდ საქართველოში თვალნათლივ წარმოდგენილია გრაფიკზე:



აქ 12 წლის განმავლობაში საკმაოდ შტამბეჭდავ ზრდას ვხედავთ - 63,0 ლარიდან 218,4 ლარამდე ნონინალურად, ე. ი. 3,5 ჯერ. მაგრამ ასეთი,თითქოს დიდი, ნახტომი გამოწვეულია საბაზო წლის ძლიერ დაბალი მაჩვენებლით, სინამდვილეში 2012 წლის სულადობრივი შემოსავალი სრულიად არადამაკმაყოფილებელი სიდიდეა. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ტენდენციის დადებითი ხასიათი, რომელიც შემდგომ უფრო უნდა გაძლიერდეს.

ქალაქების და სოფლის მიხედვით, გვაქვს შემდეგი სურათი:



ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ქალაქის მოსახლეობის ფულადი და არაფულადი შემოსავლები რამდენადმე აღემატება სოფლისას, მაგრამ განსხვავება დიდი არაა - 2012 წელს 14,7%. ამასთან, შემოსავლების ცვლილების ტენდენცია თითქმის ერთნაირია - დი-

ნამიკის მრუდები გრაფიკში თითქმის პარალელურია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით (www.geostat.ge) ცხადი ხდება, რომ შემოსავლების ზრდის ზემოთ აღნიშნული ტენდენცია თავს იჩენს ხელფასების დინამიკაში. ამავე დროს იგი მნიშვნელოვნად განსხვავებულია ეკონომიკის დარგების მიხედვით. ეს განსხვავება ეხება როგორც ნომინალური ხელფასის სიდიდეს, ასევე მისი ცვლილების ტემპებს. რეალური ეკონომიკის დარგებიდან საშუალო თვის ხელფასი ყველაზე მეტია მრეწველობაში, 2012 წელს - 808,9 ლარი, ასევეა ზრდის ტემპის მიხედვით - 10 წელიწადში გაიზარდა 15,3 -ჯერ . ხოლო, თუ მთელ ეკონომკაზე ვიმსჯელებთ, იგი ყველაზე მაღალია საფინანსო საქმიანობის სფეროში, სადაც იგი1998 -2008 წლებში გაიზარდა 119,1 ლარიდან 1343,5 ლარამდე, 11,3-ჯერ.ამ მონაცემებიდანაც ჩანს - შემოსავლების განაწილების უთანაბრობა, მაგრამ იგი ძირითადად კანონზომიერია,რადგან უკავშირდება დარგების თავისებურებებს, მათში შრომის ნაყოფიერებას, შრომის სირთულეს,პირობებს და სხვ. თუმცა არსებობს შემოსავლების განაწილების სხვაფაქტორები, რომლებიც იწვევს მის გადახრას სამართლიანობის პრინციპიდან, მოსახლეობის ზედმეტ დიფერენციაციას შემოსავლბის მიხედვით. ამ მხრივ საქართველოს სახარბიელო მაჩვენებლები არა აქვს. აქ უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა მკვეთრი უთანაბრობა მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების მიხედვით. ეს კარგად ჩანს გაეროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში. ნორვეგიაში განსხვავება მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი10 % -ის შემოსავლებსა და ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10 %-ის შემოსავლებს შორისიყო 5,8 -ჯერ, იაპონიაში -4,5-ჯერ, შვეციაში - 5,9 -ჯერ, საფრანგეთში -5,1 -ჯერ, ფინეთში - 5,0 -ჯერ, ჩეხეთში- 5,2-ჯერ, და ა.შ., საქართველოში იგი თითქმის 17-ჯერ დიდია.

ამგვარად, შემოსავლების განაწილების უთანაბრობით საქართველო არასასურველი მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება მოწინავე, სოციალურად ორიენტირებულ ქვეყნებთან,თვით მეზობელ ქვეყნებთან შედარებითაც.აქედან დასკვნა ერთი უნდა იყოს: ქვეყანამ, მისმა ხელიხუფლებამ, საზოგადოებამ მთლიანად უნდა მიიღონ ზომები ამ უთანაბრობის შემცირებისთვის,რადგან იგი შეიცავს საფრთხეს ნორმალური ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისთვის, საყოველთაო კეთილდღეობისთვის,რაც უნდა იყოს პროგრესული საზოგადოების მიზანი, პოლიტიკური სტაბილურობისთვისაც. ეკონომიკურიაქტიურობის ზრდასთან ერთად, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს შემოსავლების სამართლიან

განაწილებაზე, მისი მეტისმეტი უთანაბრობის დაძლევის ღონისძიებებზე, რისი გამოცდილებაც საზღვარგარეთის ქვეყნებს აქვს. უფრო უნდა გაძლიერდეს ყურადღება სახელმწიფოს როლი მოქალაქეთა, განსაკუთრებით ხელმოკლეთა, სოციალურ დაცვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მალაშხია გ. შემოსავლები და მათი განაწილება-გადანაწილებით ურთერთობათა ტრანსფორმაცია. ფინანსების ინსტიტუტის შრომები.ტ IV. თბ., 2000.
2. სიორიძე ზ. ქველმოქმედება და ქართული მსოფლხედვა. თბ., 2011.
3. სმითი ა. ხალხთა სინდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ.თბ., 2007.
4. ქრებ კალჰუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი. სოციოლოგია. თარგმანი. თბ., 2008.
5. შინა მეურნეობათა შემოსავლები და ხარჯები. 2010. საქსტატი. 2011
6. Доклад ООН о развтии человека. 2010.
7. Всемирный Банкю Доклад о мировом развитии за 2012 г.

შინამეურნეობების შემოსავლები და ოჯახების ცხოვრების დონე

თამარ ბერიძე -
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ბახტურიძე -
სტუ-ს დოქტორანტი

შემოსავლები უმნიშვნელოვანესიეკონომიკური კატეგორიაა. ისინი ადამიანთა არსებობისა და კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა. საზოგადოებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შემოსავლების სამართლიან განაწილებას, რაც უკავშირდება მათ სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციებს,ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას და საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მოტივაციას.

ორივე მიმართულებით დღეისთვის არსებობს პრობლემები, რაც იმაში გამოიხატება, რომ საერთოდ ქვეყნების უმრავლესობაში არ არისმიღწეული შემოსავლების სათანადო დონე, ასევე მისი სამართლიანი განაწილება. ორივე ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა უდიდესი ნაწილის კეთილდღეობაზე. ეს პრობლემა მწვავედ დგას პოსტსოციალისტურ, საბაზრო ეკონომიკაზე ბოლო პერიოდში გადასულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

საქართველოს წინაშე დიდი გამოწვევაა მიაღწიოს შემოსავლების ყველა წყაროების მკვეთრ ზრდას და მათ სამართლიან განაწილებას.

PROFIT OF THE HOME ENTERPRISES AND STANDARD OF LIVING OF FAMILIES

TAMAR BERIDZE -
Doctor of Economic Sciences
ZURAB BAKHTURIDZE -
PhD student of GTU

Economics is the most important category of revenue. They're human existence and well-being of the most important prerequisites for upgrading. Especially important for the public to have their fair distribution, which is related to their social and economic functions - human welfare and motivation of the effectiveness of training.

There are problems in both directions. The point is do not moghtseuli countries umraleoba the appropriate level of income and its equitable distribution. Both factors have a negative impact on the welfare of human beings. This problem is acute in potsotsialistur, the last period was transformed into a market economy countries, including Georgia.